რეფლექსია

რესურსი ,,თეთრები და შავები,,

რესურსი შექმნილია მე-8 კლასის მოსწავლეებისათვის

რესურსის ავტორი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნათელა მაჭარაშვილი

რესურსი,,თეთრები და შავები,,შევქმენი მე-8 კლასის მოსწავლეებისათვის, როდესაც საგაკვეთილო თემა იყო ,,მარტინ ლუთერ კინგი. აფროამერიკელების ბრძოლა სამოქალაქო თანასწორობისათვის'', სადაც მთელ რიგ საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილებულია რასობრივ სეგრეგაციაზე აშშ-ში, სადაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო შემდეგი ტერმინების გამოყენება: ,,მხოლოდ თეთრებისათვის,, ან ,,მხოლოდ შავებისათვის'', რაც გულისხმობს ერთ საერთო სივრცეში დაბადებული ადამიანების განსხვავებულობას კანის ფერის მიხედვით და საზოგადოების გარკვეული ჯგუფების არასწორ დამოკიდებულებას /აღქმას .

მიზანი:

-მოსწავლეები შეძლებენ დააკავშირონ რასობრივი სეგრეგაცია შესაბამის ქვეყანასთან და ეპოქასთან;

-მოსწავლეები შეძლებენ მსჯელობას რასობრივ სეგრეგაციაზე და თეორიულად შეეცდებიან ამ პრობლემის მოგვარებას;

შესაბამისობა ესგ-სთან:

ისტ.VIII.1.მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან;

ისტ.VIII.6.მოსწავლეს შეუძლია შეისწავლოს კონფლიქტების მიზეზები, განვითარება და შედეგები;

ისტ.VIII.12.მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობისათვის აუცილებელი პირობები;

ეს რესურსი დისკუსიისათვის ნამდვილად კარგი საფუძველია. მოსწავლეებმა/ჯგუფებმა კარგად წარმოადგინეს კონკრეტული მტკიცებულებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში როგორც მხარდამჭერთა , ასევე საწინააღმდეგო პოზიციიდან და შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით გააკეთეს სათანადო დასკვნები.

გაკვეთილი დავიწყე რესურსის ჩვენებით,რომლის შემდეგ მოსწავლეებს მიეცათ სადისკუსიო თემა ,,რასობრივი სეგრეგაცია-მხარდაჭერა თუ უარყოფა,,. მოსწავლეთა დაყოფა მოხდა ორ ჯგუფად შეხედულების შესაბამისად. ჯგუფებს წარვუდგინე დისკუსიის რუკა , სადაც უნდა

მოეხდინათ შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენა თავიანთი პოზიციიდან და გაეკეთებინათ შესაბამისი დასკვნები(რაც განახორციელეს კიდეც).პოზიციების დაფიქსირების შემდეგ ჯგუფები მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ რასობრივი სეგრეგაცია დანაშაულია კაცობრიობის წინაშე და თუ დისკუსიის დასაწყისში მხარდამჭერთა ჯგუფი მცირე ნაწილით იყო წარმოდგენილი, მეორე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები მათთვის აღმოჩნდა შეხედულების შეცვლის საფუძველი.მოსწავლეებმა კარგად ჩამოაყალიბეს მშვიდობიანი თანაარსებობისათვის აუცილებელი პირობები, რაც ,,თეთრებსა და შავებს,, შორის კონფლიქტურ სიტუაციას მინიმუმამდე დაიყვანდა. თეორიულად ჩამოაყალიბეს ის იდეები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ პრობლემის მოგვარება.

ამ რესურსის საგანმანათლებლო მიზნით გამოყენება შესაძლებელია სწავლების ყველა საფეხურზე, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ტოლერანტობის უნარი და რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეთ უარყოფითი დამოკიდებულება.კონკრეტულად , შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მე-12 კლასის ისტორიის გაკვეთილზე ანალოგიური თემის შესწავლის დროს, კლასის დამრიგებლებმა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენონ ბულინგის თემასთან მიმართებაში, რადგან რასობრივი სეგრეგაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გლობალური ბულინგი ერთ კონკრეტულ ეპოქაში.

მოდიფიცირებაც შესაძლებელია ამ რესურსის და კანის ფერის მიხედვით რასობრივი სეგრეგაცია შეიძლება ჩანაცვლდეს ეთნიკური ან რელიგიური კონფლიქტური საკითხებით და შეიძლება მოარგონ თავიანთ საგაკვეთილო თემას.

მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა ამ რესურსის გამოყენებამ ნამდვილად უზრუნველყო, რადგან რესურსი იოლად აღქმადი იყო ყველა მოსწავლისათვის. თითოეული მოსწავლის იდეა შეჯერებული იყო ჯგუფის სხვა წევრებთან. ჯგუფებმა თავიანთი პოზიციების წარმოდგენის შემდეგ გააკეთეს კვალიფიციური დასკვნა იმის თაობაზე, რომ კანის ფერს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ურთიერთობის დროს, მითუმეტეს,რომ თეთრი და შავი მართლაც მხოლოდ ფერებია, რომელიც ერთმანეთს ძალიან უხდება.

რესურსმა ხელი შეუწყო შემდეგი უნარების განვითარებას:

-ფაქტებისა და მოვლენების შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან დაკავშირების უნარი;

-კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გამოვლენისა და მისი მოგვარების უნარი;

-ტოლერანტობის უნარი;

-მშვიდობიანი თანაარსებობისათვის აუცილებელი პირობების გააზრების უნარი;

ამ რესურსის გამოყენების დროს პრობლემა არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული რესურსის გამოყენებამ მაჩვენა, რომ ყველა მოსწავლეზე გათვლილი იოლად აღქმადი სასწავლო რესურსის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას იმისას, რომ მოხდეს მათი აქტიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, ეს კი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

პედაგოგების მიერ ამ რესურსის შედეგიანად გამოყენებისათვის აუცილებელია მათ საგაკვეთილო თემატიკაზე მორგება თუნდაც წარმოდგენილი ან თუნდაც მოდიფიცირებული სახით.

რესურსის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ლინკზე:

https://www.blogger.com/video.g?token=AD6v5dy337hnsAOjuqfoJGBpFxlq3BY7j2Yr7cN3nux_0xYXKdJXQpwoMRAAX8knRBXFlHR2cJxXUdApZ4EYs1si99ZiQ7o5GDlBrgC_oNisHFRKg_RitqHGUB8yrEoga-ZhSg_WUAc